

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“-ს საგაზეთო ჩანართი №2(18) - 2019

# თვითგამართვა

## ინფორმაციები

მოგზადავლია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მიხედვით



2020 წლის ბიუჯეტის სრული ვერსია იხილეთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე [www.chokhatauri.ge](http://www.chokhatauri.ge)



ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 657 700 ლარი.

## პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე)

### ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 02.00



საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.  
 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნარჩენებისგან დასუფთავება. მოხდება სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია.  
 მოსალოდნელი შედეგი - მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.  
 პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოფრციითი მონყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

### პროგრამა 02.01

#### საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ბიუჯეტი: 80 000 ლარი

### პროგრამა 02.02

#### კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ბიუჯეტი: 80 000 ლარი



კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა.  
 პროგრამის ფარგლებში მოხდება კურორტ ბახმაროს დამსვენებელთა მოზიდვა, მოსახლეობის გაჯანსაღების, დასვენების, სამედიცინო და კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. კურორტის ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. საქუჩო განათების მოვლა - პატრონობის ხელშეწყობა, ინდივიდუალური სააგარაკო სახლების და სხვა ობიექტების მშენებლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.  
 პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“ და ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:  
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;  
 - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;  
 - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.  
 ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“

### ქვეპროგრამა 02.02.01

#### გარე განათების მოწყობა

პროგრამის ბიუჯეტი: 235 000 ლარი





**ქვეპროგრამა 02.02.03**  
**ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“**  
**ბიუჯეტი 110 000 ლარი**



კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მონესრიგება; კურორტის დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული სანიტარული პირობების უზრუნველყოფა; ტურისტების რაოდენობის გაზრდა.

უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული სანიტარული პირობები და გაზრდილია ტურისტების რაოდენობა მ.შ. ზამთრის სეზონზეც.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“

პროგრამის ფარგლებში მოხდება სადღესასწაულო დღეებისათვის დაბის ქუჩების გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: მოწყობა წყალგაყვანილობის ქსელი, ჩატარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური



**პროგრამა 02.03**  
**მუნიციპალიტეტის**  
**კეთილმოწყობის ღონისძიებები**  
**პროგრამის ბიუჯეტი:**  
**232 700 ლარი**

**ქვეპროგრამა 02.03.01**  
**შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და საინფორმაციო საშუალებების გამოქვეყნების ხარჯები**  
**ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 200 000 ლარი**



ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და მიწის ფართობის რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ქვეპროგრამის ფარგლებშიც ხორციელდება სარეალიზაციო ობიექტების ტექნიკური პასპორტების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება, დაბის განვითარებისა და პროექტირებისათვის, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და აუდიტორული მომსახურების შესყიდვა. სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისა.

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: მოწყობა წყალგაყვანილობის ქსელი, ჩატარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

**ქვეპროგრამა 02.02.03**  
**კეთილმოწყობის ღონისძიებები**  
**ქვეპროგრამის ბიუჯეტი:**  
**32 700 ლარი**